

„ყარაბაღის კლანი ევაკუირებული“ იქნება სეპარატისტულ აფხაზეთში?“

2018 წლის 23 აპრილს როდესაც ერევანში უკმაყოფილო მასამ იძულებული გახადა სერჟ სარგსიანი გადამდგარიყო სომხეთის მიერ ოკუპირებულ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყარაბაღში ქალაქში ხანქენდი ან სტეპანაკერტი, საიდანაც გაბანკროტებულმა სომეხმა დიკტატორმა დაიწყო თავისი კარიერა, შედგა საინტერსო შეხვედრა.

სეპარატისტული „Artsakhpress „ აცნობებს, რომ 23 აპრილს ე.წ არცახის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი არაიკ არუთუნიანმა მიიღო ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვე, რომელიც ჩავიდა სტეპანაკერტში ე.წ. სამუშაო ვიზიტით.

კონკრეტულად რა საკითხებს განიხილავდნენ სერჟ სარგსიანის მიახლოებული პირი და საოკუპაციო რეჟიმის ფუნქციონერი - არაიკ არუთუნიანი ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან ბუნდოვნად არის გადმოცემული.

ე.წ. არცახის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, დე-ფაქტო სახელმწიფო მინისტრმა მნიშვნელოვნად გამოყო სტაბილური და დინამიური პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება ე.წ. არცახსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკურ და საქმიან ურთიერთობებს. არუთუნიანის განცხადებით, არსებობს დიდი აუთვისებელი შესაძლებლობები, რომლებიც არ გამოიყენება და შემდგომი ძალისხმევა მიზნად ისახავს ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებას.

ის ფაქტი, რომ ერევნის რეჟიმისთვის ამ კრიტიკულ მომენტში მოხდა ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ორი სეპარატისტული რეჟიმის ეს შეხვედრა, შემთხვევითი არ არის. ვინც ამ შეხვედრას ორგანიზებას უწევდა, აშკარად ჩქარობდა. რადგან, ჩამოვიდა სოხუმის დე-ფაქტო მინისტრი აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ერევნის გავლით და აშკარად სერჟ სარგსიანის თანხმობით (შესაძლებელია ის შეხვდა მას ან მის ახლო გარემოცვას ერევანში).

მაგრამ ამის გაკეთება მან შეძლო მხოლოდ 23 აპრილის პირველ ნახევარში - სანამ სარგსიანი არ გადადგა. დღის ბოლოს ასეთი მგზავრობა პრობლემატური გახდებოდა - საეჭვოა, რომ ჯერ კიდევ სომხეთის ხელისუფლებაში მყოფი პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების განმახორციელებელი კარენ კარაპეტიანი და სომხეთის პრეზიდენტი არმენ სარქისიანს მოუხდებოდათ გარდაუვალი გადადგომის ფაქტის შემდეგ საქართველოს ხელმძღვანელობისგან კითხვები დაბადებულიყო.

ნათელია, რომ სეპარატისტულ რეჟიმს ხანქენდში კარგად ესმოდა, ჯერ კიდევ სარგსიანის გადადგომამდე, რომ მისი დღეები დათვლილია და დათვლილია ყარაბაღის კლანის დღეები სომხეთში. ერევნის ახალმა ხელისუფლებამ რომ არც მოახდინოს ყარაბაღის დეოკუპაცია, ნადვილად არ აიტანს სარგსიანის წარმომადგენლებს ოკუპირებული ტერიტორიის „ხელისუფლებაში“.

ანუ სეპარატისტული ლიდერები უნდა გაიქცნენ სადმე და სომხეთსა და აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოპარული თანხები სადღაც ჩადონ. ზუსტად ასევე უნდა მოიქცნენ მათი თანამზრახველები ყარაბაღური კლანიდან. მათ სადღაც უნდა გაუშვან „ფესვები“.

01.05.2018 ვრცლად იხ. <http://ge.kavkazplus.com/news.php?id=17025-.WvPOh6SFPIU>

„ზაფხულში აფხაზეთსა და რუსეთს შორის მატარებელი ივლის“

საკურორტო სეზონისთვის ოკუპირებულ სოხუმსა და რუსეთის ქალაქებს 5 მატარებელი დააკავშირებს. ამის შესახებ დე-ფაქტო „აფხაზეთის რკინიგზის“ ე.წ. უფროსის მოადგილემ იგორ მარღანიამ განაცხადა.

მისი ცნობით, ორი მატარებელი - მოსკოვის, ორი - სანქტ - პეტერბურგის და ერთი სამარის მიმართულებით იმობრავებს. ამათგან, მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი - „სოხუმი - მოსკოვი“ დადის. პირველი რეისი სანქტ - პეტერბურგი - სოხუმის მიმართულებით 30 აპრილს შესრულდა. ივლისსა და აგვისტოში შემდგენლობა ყოველდღე ივლის.
